ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 9

ქ. თბილისი
28.12.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ანდრო ბარნოვი;
2. ფიქრია ასანიშვილი;
3. თამარ გაგოშიძე;
4. ზურაბ დავითაშვილი;
5. გიორგი კაკაურიძე;
6. სერგი კაპანაძე;
7. იაგო კაჭკაჭიშვილი;
8. თეონა კვანჭიანი;
9. ია კუტალაძე;
10. ალექსანდრე კუხიანიძე;
11. ხათუნა მარწყვიშვილი;
12. მალხაზ მაცაბერიძე;
13. ნანა მაჭარაშვილი;
14. თამარ მახარაძე;
15. დავით მჭედლიშვილი;
16. იოსებ სალუქვაძე;
17. ლალი სურმანიძე;
18. გიორგი ხელაშვილი.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომა დაიწყო 14:35 სთ-ზე. დადგინდა, რომ ფაკულტეტის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად, რადგან მასში მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრების სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

**დღის წესრიგი:**

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2013 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით საბჭოს წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება;

2. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის ალექსანდრე კუხიანიძის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის საკითხის განხილვა.

იმის გათვალისწინებით, რომ ფაკულტეტის საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი თამარ დოლბაია, დღის წესრიგში დადგა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მდივნის არჩევის საკითხი.

საბჭოს დამსწრე წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ფაკულტეტის საბჭოს 2012 წლის 28 დეკემბრის სხდომის **მდივნის მოვალეობას შეასრულებდა საბჭოს წევრი, ფიქრია ასანიშვილი.**

ფაკულტეტის საბჭოს წევრებს არ დაუყენებიათ რაიმე შუამდგომლობა სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით.

**I. საბჭომ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ანდრო ბარნოვმა საბჭოს წევრებს გააცნო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2013 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღინიშნა, რომ ფაკულტეტის 2013 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული იმ მოცულობის თანხები, რაც პროექტით წარადგინა ფაკულტეტის საბჭომ უნივერსიტეტის ცენტრალურ ადმინისტრაციაში. ასევე აღინიშნა, რომ არსებული ვითარებით, ფაკულტეტის 2013 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 2012 წლის ბიუჯეტთან შედარებით. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გააგრძელებს მუშაობას ცენტრალურ ადმინისტრაციასთან საბიუჯეტო თანხების საერთო მოცულობისა და შიდა მუხლობრივ გადანაწილებაში კორექტივების შეტანის თვალსაზრისით.

**II. საბჭომ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე–2 საკითხი.**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ანდრო ბარნოვმა, საბჭოს წევრებს გააცნო თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის, ალექსანდრე კუხიანიძის 2012 წლის 24 დეკემბრის №1461 განცხადება, რომლითაც ბატონი ალექსანდრე ითხოვს სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობას და ასაბუთებს მის მნიშვნელობას.

ანდრო ბარნოვმა განუმარტა საბჭოს წევრებს, რომ უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნივერსიტეტის რექტორი, „ფაკულტეტის

საბჭოს დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე, წყვეტს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის საკითხს".

აღნიშნულთან დაკავშირებით, ალექსანდრე კუხიანიძემ გააკეთა განმარტება საბჭოს წევრებისათვის და აღნიშნა, რომ მის მიერ 2013 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის 30 ივლისამდე სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის მიზანს წარმოადგენს პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წიგნის დაწერა თემაზე: „პოლიტიკური კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული. ლექციების კურსი".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სრული პროფესორის, ალექსანდრე კუხიანიძის მიერ 2013 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის 30 ივლისამდე სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის შესახებ, უნივერსიტეტის რექტორისათვის დასაბუთებული წარდგინების გაკეთების საკითხი:

მომხრე: 18 წევრი;

წინააღმდეგი: 0 წევრი.

**ფაკულტეტის საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა:**

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულ პროფესორს, ალექსანდრე კუხიანიძეს, გაეწიოს 2013 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის 30 ივლისამდე სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის შესახებ შუამდგომლობა უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ ალექსანდრე კვიტაშვილთან.

საბჭოს თავმჯდომარე:

ანდრო ბარნოვი

საბჭოს მდივანი

ფიქრია ასანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს წევრთა სია

| | გვარი სახელი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| 1 | ასანიშვილი ფიქრია | |
| 2 | ბარნოვი ანდრო | |
| 3 | გაგოშიძე თამარ | |
| 4 | გაჩეჩილაძე რევაზ | |
| 5 | გერსამია მარიამ | |
| 6 | გოგსაძე გიორგი | |
| 7 | დადეშქელიანი ბექა | |
| 8 | დავითაშვილი ზურაბ | |
| 9 | დოლბაია თამარ | |
| 10 | დურგლიშვილი ნინო | |
| 11 | კაკაურიძე გიორგი | |
| 12 | კაპანაძე სერგი | |
| 13 | კაჭკაჭიშვილი იაგო | |

| | | |
|---|---|---|
| 14 | კვანჭიანი თეონა | |
| 15 | კუპრეიშვილი ნესი | |
| 16 | კუტალაძე ია | |
| 17 | კუხიანიძე ალექსანდრე | |
| 18 | მარწყვიშვილი ხათუნა | |
| 19 | მაღრაძე გუგული | |
| 20 | მაცაბერიძე მალხაზ | |
| 21 | მაჭარაშვილი ნანა | |
| 22 | მახარაძე თამარ | |
| 23 | მჭედლიშვილი დავით | |
| 24 | ოსეფაშვილი დალი | |
| 25 | ქორქოლიანი გია | |
| 26 | სალუქვაძე იოსებ | |
| 27 | სურმანიძე ლალი | |
| 28 | ტალახაძე ნანა | |
| 29 | ყიფშიძე გიორგი | |

| | | |
|---|---|---|
| 30 | შამილიშვილი მანანა | |
| 31 | ჩოხელი ლევან | |
| 32 | წერეთელი მარი | |
| 33 | წერეთელი მზია | |
| 34 | ხელაშვილი გიორგი | |
| 35 | ჯორბენაძე რევაზ | |